ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

წელიწადი მესამე

წელიწადი მესამე

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

თებერვალი 19. — № 4.

შინაარსი:

ე. იოსელიანი.... ბატონ-ყმობის გაუქმება რუსეთში და ჩვენში.......... 3
ვ. რცხილაძე... 19 თებერვალი 1861 წ.......................... 5
ვ. რცხილაძე..... ორგანიზმოთა სამეფოს განვითარება................. 7
ა. მაჩაბელი...... ჭარხალი როგორც საკვებავი მცენარე საქონლისა და ღორე-
ბისათვის......................................11
ს. კახელიძე..... იაფი სესხის საჭიროება სოფლად..................13

განცხადება..16

Городская Публичная Тифлисская Библиотека имени А. С. Пушкина

ტფილისი, 1911 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა:—ახოშვილი ვ. ანაზდეული, ახალაია ი., ბერეკაშვილი კ., გულბაათიშვილი ვ., გვარამაძე კ., გორთამაშვილი ვ., ედილაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კახელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარალელი ვ., მაჩაბელი ა., მღივანი ღ., მჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ. ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე სტ. ვ., რცხილაძე სტ. გ., ფურცელაძე ი., ფალავანდიშვილი ღ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე ვ., ქარცივაძე მ., ყიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხადაძე გრ., ხუნდაძე ს., შავლიევი პ., ჯანაშვილი მ., ჯიქია ლ., კახელი მევენახე, სემიონოვი ექიმი.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრეთვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შეძენა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვწნური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური.**

წლიური აბონემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით.**

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

Тифлисская Городская публичная библиотека

ბატონ-ყმობის გაუქმება რუსეთში და ჩვენში

დღეს, 19 თებერვალს, ორმოცდაათი წელიწადი შესრულდა რაც ბატონ-ყმობა იყო გაუქმებული რუსეთში. ყველა ერებისათვის მთელ რუსეთის იმპერიაში 19 თებერვალი 1861 წლისა დაუვიწყარი უნდა იყოს.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის ისტორია რომ გადაათვალიეროთ, ვერ პოებთ ვერც ერთ დღეს, რომ ხალხისათვის ამ დიდებული დღის მნიშვნელობა ჰქონდეს. ამ დღიდან იწყობა რუსეთისთვის ახალი საისტორიო ხანა. ეს დღე სვეტია მაჩვენებელი იმისი, რომ არავის არ ძალუძს აღმოფხვნას ცხოვრებაში სიმართლე და კაცთმოყვარეობა. ახალი თაობა თავის დღეში ვერ წარმოიდგენს იმ სიმძიმეს, რომელიც ჰქონდა 19 თებელვალს გაუქმებულ ბატონ-ყმობის უღელს.

ახალ თაობას არ სმენია ოცი მილიონი ხალხის ჭირი და ვაება განუწყვეტელი მთელ საუკუნოებში. ვერც ერთი დაუძინებელი მტერი ვერ დაბეჩავებდა ერს ისე, როგორადაც ბეჩავდებოდა იგი ყოველ დღე ბატონის ყველა გვარ შევიწროებისაგან. ადამიანი მსგავსი სულითა და აგებულობით მაცხოვრისა ბატონ-ყმობამ უსულო საგნად აქცია და დაუსაკუთრა ბატონს, რომელიც უწამლავდა ადამიანსა და საზოგადოებას ფსიხიკას და უძლურად ყოფდა მის სულის შემოქმედებას. ჯერ კიდევ მრავალი წელიწადი გაივლის ვინემ დამახინჯებული ბატონ-ყმობისაგან ფსიხიკა მოიკრეფს ძალას და განთავისუფლდება ძველი ცხოვრების დალექილი ნაშთისაგან. 19 თებერვალს პირველად გაისმა ხმა, რომ თავისუფალი გლეხი და მისი მეურნეობა არის დასაწყისი უჯრედი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ორგანიზმისი. შრომა შეიქმნა ამ დღიდან ერთადერთი სახსარი ხალხის სიმდიდრისა. 19 თებერვალს აღმართული სვეტი მაჩვენებელი იყო მომავალი ახალი ცხოვრებისა, მაგრამ ბნელმა ძალებმა მალე იჩინეს თავი, განთავისუფლების უმალვე შეებნენ რათა მოეღოთ ბოლო ამ თავისუფლებისათვის და აკი შეიძლეს კიდევაც — ჩააგდეს გლეხი სასოწარკვეთილებაში.

ასეთია, ამბობენ, კვალი ცხოვრებისა, ასე მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორია, ამ გზით ეძლევა თურმე საძირკველი ერის ყოველ კარგ მომავალს. რაც ხვალ უნდა იყოს გაუქმებული, დღეს იმის სხვერპლად ხდებიან საუკეთესო შვილნი ერისა. თვით ქრისტემ თავის ჯვარცმით უჩვენა ქვეყანას გზა სიმართლისა, კაცთმოყვარეობისა და ბედნიერებისა.

დღესაც, რომ გაიხსენებ რამდენი გლეხის ძვლებზეა ამართული იგი სვეტი ყმათა განთავისუფლებისა ბატონისაგან, ძარღვები გეშლება ადამიანს, რაღაც კანკალი აგიტანს ხოლმე.

II

საქართველომაც გამოიარა ბატონ-ყმობის ხანა. სამი წლის შემდეგ, 13 ოქტომბერს 1864 წ. საქართველოშიაც მოეხსნა ადამიანს მონობის უღელი.

ყველგან საცა კი მოიკიდა ფეხი ბატონ-ყმობამ ერთდაიგივე ხასიათი ჰქონდა მას და ერთსა და იგივე შედეგს იწვევდა ერის ცხოვრებაში. ყველგან ყმა უსულო საგნოდ იყო გადაქცეული რომლის ბედი და უბედობა ბატონზე იყო დამოკიდებული. ყველგან ბატონ-ყმობა რყვნიდა ორთავეს—ბატონსაცა და ყმასაც. ადამიანობა და სიმართლე მოკლული იყო ხალხში, ყველგან სუფევდა თვითნებობა და ძალმომრეობა.

„მოხუცდი, მკლავში ძალამ მიმტყუნა, მუხლი აღარ მომდევს, ოჯახი მიფუჭდება, მომვლელი არა მყავს მიბოძეთ შვილი თქვენ სადღეგრძელოთ, თქვენც გემსახურებათ ბატონო, ოჯახსაც მოუვლის, მე აღარ ვარგივარ, რაღა სამსახური შემიძლიან მოხუცებულს.

— რას ყბედობ, გამოყრუებულო, ბიჭი მე მინდა". მოხუცი მამა ერთად ერთ თავის შვილს სთხოვს ბატონს, დაუბრუნოს მისივე სამსახურისათვის და ოჯახის დასაცველად და პასუხად ასეთი თხოვნისა ბატონი აწკეპლინებს მოხუცს. შემდეგ? ოჯახი ფუჭდება უკაცობით, ბატონს გულს უპობს მოხუცის შვილი და გავარდება და დადის ტყე-ტყე ნადირივით. აი ნაყოფი ბატონ-ყმობისა. ქართველი ყმა ყველასა სთმობდა ბატონისათვის, მზათ იყო ყოველი თავის საბადებელი ენაცვალებინა მისთვის, მხოლოდ ის ვერ ურიგდებოდა ერთს. ეს იყო ოჯახის ნამუსის ახდა, რომელმაც არა ერთი და ორი ბატონი იმსხვერპლა. ბატონ-ყმობა შავი ღრუბელივით ჰქონდა გადაფარებული საქართველოს. აგერ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა დღეს იმის გაუქმების შემდეგ, მაგრამ ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად აწევს ქართველ ერს მისი ნაშთები. ბატონ-ყმობის გაუქმებას ორი მიზანი აღდევნეს თან: ამ გაუქმებას უნდა მიენიჭებინა ყმისთვის შეულახავი პიროვნება და უზრუნველ ეყო იგი იმ მიწა-წყლით, საცა მისი ძვალი და ხორცი დნებოდა მუშაობით. სათავეში ბატო-ყმობის გაუქმებას ედგნენ განსვენებული ბარონ ნიკოლაი, თავ. გრ. ორბელიანი, თავ. მუხრანბატონიშვილები ივ. და გიორ., ვიტტე (მამა გრაფისა), დ. ი. ყიფიანი, თავ. მხ. თუმანიშვილი და სხვ. ფარგალი განთავისუფლებისა, რასაკვირველია, რუსეთში მიღებულ ზომაზე ფართო ვერ იქნებოდა. გან. კომიტეტმა, შემდგარმა ზემოდ ჩამოთვლილი პირებისაგან, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შეემუშავებინა წესდება ყმობიდან გამოსული გლეხებისათვის, სანამ წესდების შედგენას შეუდგებოდა, მოლაპარაკება გამართა: მისცენ მიწა-წყალი განთავისუფლებულ გლეხებს თუ უმიწა-წყლოდ გაანთავისუფლონ. კომიტეტი მომხრე გახდა გლეხის უმიწოდ განთავისუფლებისა. ვერ წარმოედგინა მას, რომ ქართველი გლეხი უმიწა-წყლოდ ყმაზე საცოდავი ტანჯული შეიქნებოდა. პატარა ახალგაზრდობის წრე, რომელსაც თავში ილია ჭავჭავაძე ედგა, წინააღმდეგი იყო გლეხის უმიწოთ გამოსვლისა ბატონისაგან, მაგრამ კამიტეტზე არავითარი გავლენა არა ჰქონდა მას. სამწუხაროდ მაშინ არც პრესა არსებობდა ჩვენში, რომ რომელიმე მიმართულებისთვის მხარი მიეცა და ეშველა კითხვის გამორკვევაში. რადგანაც მართებლობამ არ შეიწყნარა უმიწოდ განთავისუფლება გლეხისა, კომიტეტმაც მალე მიანება თავი ამ აზრსა და შეუდგა წესდების შე-

მუშავებას, რომლის ქვა-კუთხედი ამრიგად მიწით განთავისუფლება გახდა. 1864 წ. 13 ოკტ. უმაღლესად იყო დამტკიცებული „სჯულდებანი გლეხთათვის გამოსულთა ყმობის დამოკიდებულობისაგან“. როგორი გულის ფანცქალით იყო მიღებული მანიფესტი განთავისუფლებისა ამას ის, ვისაც თავის თვალით არ უნახავს, ვერც წარმოიდგენს.

განთავისუფლების მანიფესტიდან მხოლოდ ერთად ერთი სიტყვა ჩაეჭრა გულს. ეს სიტყვა იყო „განთავისუფლება ბატონისაგან, გაუქმება ბატონყმობისა“. არავინ ყურადღებას არ აქცევდა, რა ეკონომიური მდგომარეობა უნდა მოჰყოლოდა ბატონ-ყმობის ესეთ გაუქმებას. ახლად მინიჭებული თავისუფლებით სტკბებოდა გლეხი და შეხაროდა თვის ბედს. არცერთგან რუსეთის იმპერიაში გლეხების განთავისუფლებას არ ჩაუვლია ისე მშვიდობიანად, როგორათაც საქართველოში, თუმცა ტფილისშიაც ცოტათი შიშობდნენ.

გაიარა ბედნიერმა დღეებმა, იწყო ცხოვრებამ თავისი ჩვეულებრივი კვალით მიმდინარეობა და მალე ცხადად გამოჩნდა, რა უვიცი სულით იყვნენ აკვლანჯულნი ბატონი და ყმა. სოფლისა და მეურნეობის უვიცობა ცხადად ემჩნეოდა განთავისუფლების კანონს, რომელიც ბოლო მოუღებელ სადავო და საჭირბოროტო გარემოებაში აყენებდა ვალდებულს გლეხს. რეფორმა თითქო გვერდს უვლიდა ყველა იმას, რისთვისაც იგი იყო მოხდენილი. მოლოდინი რომ გლეხი სახელმწიფოს ძლევამოსილობის ბურჯად გარდაიქცეოდა ფუჭი აღმოჩნდა; რეფორმამ გლეხს ვერ მიანიჭა ის, რასაც ჰპირდებოდა. დაკანონებული წეს-წყობილება დროებით ვალდებული გლეხისათვის აგერ ორმოცდა რვა წელიწადია მოქმედობს და იქამდინ მიიყვანა გლეხიც და ბატონიც, რომ არ იციან რა წამალი დასდონ თავიანთ გარემოებას. იმედია, რომ ახლო მომავალში ამ დროებით ვალდებულობას ბოლო მოეღება და გლეხს სხვებთან ერთად თანასწორი უფლება მიენიჭება თავის მიწა-წყლის მართვა-გამგეობისა.

ე. იოსელიანი

19 თებერვალი 1861 წ.

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი...“
შ. რუსთაველი.

დიდი კაცთმოყვარეობის საქმე გაკეთდა რუსეთში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ეს საქმე გლეხების განთავისუფლება იყო ბატონყმობისაგან. თარიღი ამ განთავისუფლებას 19 თებერვალი 1861 წლისა უზის. ამ დღიდან შრება ცრემლი რამდენიმე მილიონი ადამიანის თვალზე, იღვიძებს გულში იმედი უკეთესი მომავლისადმი. რუსეთს ეძლევა კულტუტურულ სახელმწიფოთა გუნდში თანასწორი ადგილი.

როგორც ყოველი სხვა დიდი საქმე არ ხდება ერთბაშად ისე გლეხების არც დაყმევება, არც მათი ყმობიდან განთავისუფლება არ მომხდარა უეცრად, მოულოდნელად.

უთანასწორობა, ერთიერთმანეთის დაჩაგვრა როგორც სხვაგან ისე რუ-

А. С. ПУШКИНА

სეთის ხალხთა შორის ღრმა წარსულიდან იწყობა.

სოფელს აიღებ თუ ქალაქს ადგილობრივი მკვიდრნი მუდამ იმ ცდაში არიან, რომ მოსული ელემენტებით ისარგებლონ, მეტს გამორჩნენ ვიდრე მისცემენ, მოსულები კიდევ ადგილობრივ მკვიდრზე გამარჯვებას ცდილობენ. მოსული ელემენტების ეგრედწოდებული **სმერდების** დაყმევება, მათი სიღარიბისა გამო მეთექვსმეტე საუკუნეშივე ხდება რუსეთში.

„ბატონ-ყმობის შენობა მეთექვსმეტე საუკუნეშივე იყო აგებული“,—ამბობს მ. ლიუბავსკი,—„მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებს ამ შენობის მხოლოდ დამთავრება, ზოგიერთ წვრილმანი ნაწილების გამოშენება-გამოყვანა-ღა რჩებოდათო“.

ასევე შეიძლება ითქვას ბატონ-ყმობის გაუქმებაზედაც. მონობის უარყოფა როგორადაც შედეგი კულტურული განვითარებისა, ვითა ნაყოფი კულტურის ხისა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდანვე ისახება, იზრდება, იწევა და 1861 წლისათვის დამწიფებული კაცთმოყვარე ხელით ეძლევა ხალხს მისდა საკეთილდღეოდ.

რა ნაირი სითბო-სინათლე გულკეთილობისა და გონება-მახვილობისა დასტრიალებდა ამ ნაყოფს გასაზრდელად და დასამწიფებლად, ან როგორი ქარიშხალი ჰქროლავდა მას ზოგჯერ გასანადგურებლად,—ამას ის წარმოიდგენს თვალნათლივ, ვინც იმ დროის მწერლობას გადაიკითხავს.

სუმაროკოვი, მაგალითად (1783 წ.) საზღვარგარეთის და რუსეთის წეს-წყობილებას ადარებს და ამბობს:

„იქ გლეხ-კაცობას ტყავს არავინ აძრობს, სოფლებს ქალაქში არავინ აგებს ხალხით არ ვაკრობს“.

იმავე წლიდან ფონვიზინის „ნედოროსლში“ ვკითხულობთ ერემეევნას სიტყვებს, რომელიც ამბობს „წელიწადში ხუთი მანეთი ჯამაგირი მაქვს და ყოველ დღე ხუთ-ხუთი სილაო“. პროსტოკოვა ეხვეწება თავის ძმას ასწავლოს გლეხებისაგან ხარჯის მოკრეფა და შესჩივის: „რა უბედურებაა! მას აქეთ, რაც ერთხელ გამოვართვით გლეხებს რაც რამ ებადათ, იმაზე მეტი შემდეგ სხვა ველარა წაგვირთმევიარაო“.

ხოლო სტაროდუბი დასძენს: „მონობით ჩაგვრა მზგავსისა შენისა უკანონო არის“.

ექვსი წლის შემდეგ ამისა (1789) ა. ნ. რადიშჩევი სწერდა ყმების შესახებ: „იგინი ჰგვანან ადამიანს მხოლოდ გარეგნობით... ტვირთითა მძიმეთი დაოჩნებულან, მოკლებულ არიან ყოველ სიკეთეს, უწილობელნი კაცთა მემკვიდრეობისა, დამონავებულან, განადგურებულან, გამხდარან საზიზღარნი. შიშ ქვეშ აკეთებენ სხვისთვის სასურველს, თავიანთთვის კი მინიჭებული აქვთ მცირედი რამ, აქვთ მხოლოდ უფლება გაიზარდნენ და შემდეგ დაიხოცნენ“.

ამით არ კმაყოფილდება რადიშჩევი და სწერს: „განა ვისზედ უფრო უპრიანია მამული თუ არ მის გამკეთებელზე? ჩვენ კი დახედეთ რამდენად ვართ დაშორებულნი პირველში მიღებულ საზოგადო წესს მიწის მფლობელობის შესახებ, რომ დღეს ის, ვისაც სხვაზედ მეტი უფლება აქვს, არამც თუ ჩამოშორებულია ამ უფლებას, არამედ თავისი ოფლით მოყვანილს სხვის მამულზედ საკვებავ საზრდოს შესაქერის

შორიდან, როგორადაც სხვისა საუფლოს“.

ასე გვიხატავს რადიშჩევი სხვის მამულის გამკეთებლის გულაყრილობას: „განთავისუფლებულ ქვეყანაში, სადაც მეძროხე წინად გულგრილად უვლიდა ბატონის ძროხას, ეხლა თავდადებით იცავს მას გარეული ნადირისაგან. როცა გუთანი ხნავდა ბატონის მიწას, მიწა სულ მცირედ მოსავალს აძლევდა „მონებს“, ეხლა კი საკუთარი მამული თავისუფალი პატრონისა მის გულისძგერით გამთბარი მოსავალს ერთიორად იძლევა. განუსაზღვრელად ბედნიერია აგრედვე გლეხი კაცის ცხოვრება თავის მეუფლესთან, რომელსაც თავის ამორჩევითა და სურვილით ირთავს და არა ახვევენ თავზე ძალად უდანაშაულო მსხვერპლთა გასამრავლებლად“.

რადიშჩევი და გრესლენი თხოულობდნენ გლეხის მამულით განთავისუფლებას, რომ მიწა, რაც ეჭირა გლეხს უფასოდ რგებოდა.

რასაკვირველია, იყვნენ რადიშჩევის აზრის წინააღმდეგნიც. სხვანაირი ქარიც ჰბერავდა კულტურის ხის ნაყოფს და აგვიანებდა—აძნელებდა მის მომწიფებას.

პოლენი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ ბატონს უნდა ჩამოეჭრას ზოგიერთი უფლებები თავის ყმებზე, ხოლო ბატონ-ყმობა კი უნდა დარჩესო.

ვ. ნ. ტატიშჩევი, რომელიც გარდაიცვალა 1750 წელს, სწერდა: „თავისუფალი გლეხი რუსეთში შესაძლო იყო მეთექვსმეტე საუკუნეში; ჩვენ დროში კი ბატონ-ყმობის მოსპობა შეუძლებელია, რადგან გლეხთა და „ხოლოპთა“ თავისუფლება არ შეეგუება აწინდელ მონარქიულ ფორმას მართველობისას და დამკვიდრებულ ჩვეულებად ქცეული გლეხთა მონობის უარყოფა საშიშარია“.

1770—71 წ.წ. კლინგშტენი სწერდა: „თავისუფლება და საკუთარი მამული, ყოველ ეჭვს გარეშეა, შრომის წამაქეზებელ გარემოებათ უნდა იყოს მიჩნეული. ხოლო როცა ამავე დროს გაღატაკებულ ჩუხონელებსა და უკრაინელებს ვუყურებთ თუმცა იგინი თავისუფალნი არიან, უნდა გამოტეხით ვსთქვათ, რომ თავისუფლება ისეთი ხალხისათვის, რომელიც მით წესიერად ვერ ისარგებლებს, უფრო ხშირად საზარალოა, ვინემ სასარგებლო და ამასთანავე მარტო ერთი ლიტონი თავისუფლება ვერ მოსპობს სიზარმაცეს და აქედან წარმომდგარ სიღარიბეს“.

როგორც ზემოდ მოყვანილიდან სჩანს, მკითხველო, დიდი „დაგა-დაგა“ ყოფილა გლეხების ყმობიდან განთავისუფლების შესახებ ჯერ ისევ ასი წლის წინად ვიდრე ეს განთავისუფლება მოხდებოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა დრო იმდენი ბრძოლაც მედგარი იყო და როცა გადაიარა ჭექა-ქუხილმა განთავისუფლების მზემაც აღმოაშუქა და თავისი სითბო-სიტკბოება მოჰფინა ქვეყანას 1861 წელს 19 თებერვალს.

ვ. რცხილაძე

ორგანიზმოთა სამეფოს განვითარება

წინად ყოფილი მცენარეებისა და ცხოველების აწ აღმოჩენილი ნაშთების შესწავლით მეცნიერებამ ის უტყუარი დასკვნა გამოიყვანა, რომ სხვადა-

სხვა გეოლოგიურ ხანაში სხვადასხვა მცენარეებსა და ცხოველებს უცხოვრიათ უწინ. ამიტომ მცენარეთა და ცხოველებთა წარსულის გამოკვლევა ორს შემდეგს კითხვაზედ უნდა იძლეოდეს პასუხს:

1) როგორ წარმოსდგა დედამიწაზედ თავდაპირველად სიცოცხლე და 2) როგორ ხდებოდა ის ცვლილება, რომელსაც, აშკარაა, განიცდიდნენ მცენარეებიც და ცხოველებიც დღიდან მათი დაბადებისა.

პირველ კითხვაზე მეცნიერება დღესაც ვერ იძლევა ხეირიან პასუხს.*) უნდა მივიღოთ, რომ ოდესღაც დედამიწაზე ყოფილა ისეთი ხანა, როცა შესაძლებელ ქმნილა უუმარტივესი ცოცხალი არსების ან არსებათა თვითწარმოშობა.

ამიტომ ჩვენც გვერდი აუაროთ ამ კითხვას და ნუ გამოუდგებით მის ძიებას.

გამოვარკვიოთ მხოლოდ რა ნაირ პასუხს იძლევა დღეს მეცნიერება ზემოდ დასახელებულ მეორე კითხვაზე.

უწინარეს ყოვლისა ვიკითხოთ ამისათვის: ყოველი ახლად წარმომდგარი სახე ანუ ფორმა ცოცხალი არსებისა იბადებოდა დამოუკიდებლივ წინად ყოფილ არსებებთან თუ ყოფილ მცენარეთა და ცხოველთა თანდათანი შეცვლითა და განვითარებით ანუ **ევოლიუციით** ხდებოდა.

წარსული საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ ისევ ის აზრი იყო გამეფებული ამ მხრივ, რომელიც შვედელ მეცნიერს კარლ ლინეის გამოეთქვა პირველად, რომ ვითომ „დღესაც იმდენივე გვარ-ტომის ცოცხალი ორგანიზმონი ითვლებიან ბუნებაში, რამდენიც წინად შეუქმნია ერთ რომელიღაც ჩვენთვის მიუწდომელსა და განუსაზღვრელს არსებას“ (tot numeramus species, quot ab inito creavit infinitum ens). ამ აზრის მომხრე იყო თვით გამოჩენილი ავტორიტეტი მეცნიერი ჟორჟ კიუვეც.

აზრი იგი, რომლის თანახმად ყოველი გვარი მცენარე ანუ ცხოველი უცვლელად უნდა რჩებოდეს, მეცნიერებამ სრულებით უარ ჰყო მას აქეთ, რაც 1859 წელს ჩარლზ რობერტ დარვინმა გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი შრომა: „ცოცხალ ორგანიზმოთა გვარ-ტომებათ დაყოფა გამოიწვევა შერჩევით ანუ სელეკციით, რომელიც ჩვეულებრივ ხდება ბუნებაში („on the origin of species by means of natural selection“). ამის შემდეგ მეცნიერებამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ის აზრი, რომ ყოველი ახალი სახე ანუ ფორმა მცენარისა გინა ცხოველისა შედეგია წინად ყოფილ ორგანიზმოს განვითარებისა.

საკითხი მარტო იმაში მდგომარეობს დღეს, თუ რა გზით, რა ნაირად ხდებოდა ეს აუცილებელი ევოლიუცია.

თუმცა ის აზრი, რომ ბუნებაში თანდათანი შეცვლა-განვითარება ანუ ევოლიუცია ხდება ერთხელ ოდესღაც დაბადებულ არსებისა ან არსებათა და მხოლოდ ამგვარი **ევოლიუციით** აიხსნება მთელი ის სხვადასხვაობა რასაც მცენარეთა და ცხოველთა სამეფოებში ვხედავთ, წარსულ საუკუნის პირველსავე ნახევარში იყო გამოთქმული ლა-

*) ზოგიერთ შესანიშნავ ცდებს, რომელიც ამ კითხვის გამოკვლევაში მოუხდენიათ კვინკეს (Quincke), ბიუჩლის (Bütschli), რუმბლერს (Rhumbler) და კიდევ სხვებს, ცალკე წერილის საგნად გავხდით.

მარკისაგან და ჟოფრუა სენტ-ილერისაგან, მაგრამ დასაბუთება და საბოლოოდ დამტკიცება ამ აზრს მხოლოდ დარვინისა და უოლაისის (A. R. Wallace) გამოკვლევებმა მიანიჭეს.

ვნახოთ რაში მდგომარეობენ ეს საბუთები.

რასაკვირველია, ისეთი ცხადი და პირდაპირი საბუთის მოყვანა რომ ჩვენ თვალ-წინ ხდებოდეს ეს ევოლიუცია შეუძლებელია. შეუძლებელია რომ კაცმა თავისი საკუთარი თვალით დაინახოს როგორ წარმოსდგება ერთი გვარ-ტომის ცხოველიდან ან მცენარიდან მეორე გვარის ცხოველი ან მცენარე, რადგან სულ უუმცირესი ცვლილების გამოწვევა, რომელიც კი თვალსაჩინოდ გასცდება რომელიმე ცხოველის ან მცენარის შთამომავლობათა აწინდელ თვისებებს, ისეთ დიდ დროსა თხოულობს, რამდენიც გამომკვლეველს როგორადაც მომაკვდავს ხელთ თავის დღეში არ ექნება. ხოლო ისეთი საბუთები კი, რომლებიდანაც ეს ევოლიუცია უსათუოდ უნდა დაისკვნას, ბლომად შეგვიძლიან სამაგიეროდ მოვიყვანოთ. შეიძლება ვსთქვათ რომ ყოველი, რაც-კი რამ იცის დღეს მეცნიერებამ შესახებ ორგანიზმთა წარსულისა და აწმყოსი, სულ ამ ხსენებულ ევოლიუციას ამტკიცებს. ბუნებითი მეცნიერების გამოკვლეულ და ჭეშმარიტებათ მიღებულ ცოდნათა შორის ბევრია ისეთი, რაც თავისი სიმარტივითა და სინამდვილით პირდაპირ საბუთებთან სჭრის. მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთს მათგანს შიგრჩევით.

ჯერ ჯწინარესად ყოვლისა უნდა ვაღვიაროთ რომ ორგანიზმონი თავიანთ განვითარებაში **იცვლებიან**. შვილები ზოგჯერ მაგალითად სრულიად არ გვანან თავიანთ მშობლებს.

ეს ცვლილებანი, ხან ერთბაშად დიდი ზომისად მომხდარნი, თაობიდან თაობაზე გადადიან, ინახებიან; ხან ერთიერთმანეთს **წაემატებიან** კიდევაც ისე რომ ზოგჯერ თვისებები სხვადასხვა დროის წინაპართაგან შეძენილნი ერთ რომელსამე მათ შემდეგ შთამომავლობაში იკრიფებიან ერთად და ამ უკანასკნელი თაობის ხან ყოველი, ხან მარტო ერთი წარმომადგენელის აგებულების თვისებათ შეიქმნებიან ხოლმე.

მიუხედავად ამ განსხვავებისა მშობელთა და შობილთა შორის როცა მთელ ორგანიულ სამეფოს წარმომადგენლებს ცხოველებშიაც და მცენარეებშიაც ერთად ან ნაწილ-ნაწილ ვაკვირდებით ვხედავთ, რომ ყველანი ერთ გეგმაზე, ერთ პლანზე არიან აგებულნი.

ამ მთლიანობას აშკარად ამტკიცებენ ეგრედწოდებული **რუდიმენტები***), რომელთაც ვხედავთ ერთ რიგ ორგანიზმოებში და რომელნიც მასთანვე ყოველ ეჭვს გარეშეა რომ ეპირდაპირებიან სხვა ცხოველების სხეულში მყოფ განვითარებულ და დიდად საჭირო ორგანოებს.

რუდიმენტებს ეკუთვნიან ვეშაპის უკანა ფეხებისა და თეძოს ძვლები. წინა ფეხები აქვს ვეშაპს და ხმა-

*) რუდიმენტი ჰქვიან ისეთ ორგანოს, რომელიც არ განვითარებულა ბოლომდე და არაკვითარ საქმეს არ ასრულებს სხეულში, ხოლო აშკარა კია რომ იგი ეპირდაპირება ზრდადამთავრებულ და მომქმედ ორგანოს სხვა ცხოველებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობს ცურვაში, უკანა ფეხები კი სრულებით არ გაზრდია, არ უჩანს გარედან, ხოლო როცა ჩონჩხს გავუშინჯავთ, ვატყობთ რომ უკანა ფეხების და თეძოს ძვლებიც აქვს ვეშაპს, მაგრამ ზრდა-დაუმთავრებელნი დარჩენილან.

რუდიმენტია აგრედვე ადამიანის თვალში მეტი ხორცი ცხვირის მხარეს შიგნიდან, რომელიც ფრინველების მესამე დამთავრებულსა და მომქმედ ქუთუთოს ეპირდაპირება.

ადამიანის სხეულში ვიდერსგეიმი ასამდე ორგანოსა სთვლის, რომელთაგან რიგისა სრულიად მოსპობილან, რიგისა გაუქმებისა და მოსპობის გზაზედა დგანან. ასეთი ორგანოები არიან: მე-11-ტე და მე-12-ტე წყვილი ნეკნები; უკვე მოსპობილი მე-13-ტე წყვილი ნეკნი; საფქვავი კბილები „სიბრძნის“ კბილებად წოდებული; ბრმა ნაწლევის ტოტი; კუდის რიკი, რომელიც ერთი გოჯის ტოლად დაჰყვება ხოლმე იშვიათად ზოგ ადამიანს, და სხვ.*)

რუდიმენტის ხასიათისანი არიან აგრედვე ის ორგანოები, რომელნიც სხვადასხვა ორგანიზმოებს ეზრდებათ პატარაობაში და დიდობაში კი ეკარგებათ. ასეთ ორგანოებს ეკუთვნიან ეგრედწოდებულ ულვაშებიან ვეშაპის ნამდვილი ძვლის კბილები, რომელნიც ვეშაპს ამოსდის მრავლად (50-მდე) სანამ მუცლიდან დაიბადება და მერე დიდობაში კი სრულებით აღარა აქვს და მათ მაგიერ პირში ჩამოშვირავს კანატელები ეგრედწოდებული „კიტოხეტის ძვლები“ (Китовый усъ).

დიდობაში 4 კბილი კაკნატელისაგან შემდგარი აქვს რძითმკვებავ ცხოველს утконосъ-ს, რომელსაც პატარაობაში სანამ დედის მუცლიდან იშობება ნამდვილი ძვლის კბილები ამოსდის და მერე კაკნატელებზე შეეცვლება ხოლმე.

რუდიმენტებს წარმოადგენენ აგრედვე ლაყუჩების მშვილდოები ხერხემალიან ცხოველებში — მცურავებში, ფრინველებში, რძითმკვებავებში და ადამიანის ხეულში.

არცერთ ამ ცხოველთაგანს დიდობაში ლაყუჩები არა აქვთ (როგორც თევზებსა და ქვეწარმავალებს) ხოლო ერთხანად კი, როცა ჯერ ისევ ზრდაში არიან დედის მუცელში, ლაყუჩების მშვილდოები თავის შესავალ-გასავალი კარებით ამათაც გამოესახებათ ხოლმე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რუდიმენტალური ორგანოების არსებობა მარტო იმით შეიძლება ავხსნათ, რომ ოდესმე ამ რუდიმენტების აწმქონე ცხოველების წინაპრებსაც ეს ორგანოები სრულიად განვითარებული ჰქონიათ და უხმარიათ; ეხლა კი მათ ევოლიუციის მიზეზით აღარავითარი დანიშნულება აღარა აქვთ და მხოლოდ ამ რუდიმენტების მქონე ცხოველების შორეულ ნათესაობას ამტკიცებენ იმ ცხოველებთან, რომელთაც ორგანოები იგი დღეს ეზრდებათ და ხმაროben.

ერთი სათავიდან გამომდინარეობა ყველა ორგანიზმოებისა და შემდეგ ევოლიუციით მათი განვითარება-განსხვაება მტკიცდება აგრედვე იმ **შეთვისებითა** და **შეშვნევით**, რომელ-

*) მე ჩემი თვალით მინახავს ესეთი პატარა კუდი, რომელიც დაყოლილი აქვს ერთს ჩემს ნაცნობს, დღეს 48—49 წლის კაცს, მამას ბევრი შვილებისას.

ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ცხოველებიც და მცენარენიც იჩენენ როცა ახალ პირობა-გარემოებებში ჩადგებიან ხოლმე. ცხოველების ერთად ბინადრობა, პარაზიტობა, სიმბიოზი, ყვავილიან მცენარეების ცხოველებთან დაკავშირება ნაყოფის ჩასახვის დროს და სხვა—სულ ამ ზემოხსენებულ ევოლიუციით შეიძლება იყოს მხოლოდ ახსნილი.

ერთად ერთი კარი მცენარეთა და ცხოველთა სამეფოში შესახედი ამ სამეფოთა წარსულისა და აწმყოს გასაგებათ ეს ზემოხსენებული ევოლიუციის თეორია არის, რომლის მამამთავარ დამფუძნებელად დიდად სახელოვანი ინგლისელი მეცნიერი ჩარლზ რობერტ დარვინი ითვლება და რომელიც კ. ტიმირიაზევმა მეცნიერის „იდეალად“ აღვიარა და სწავლა მისი „გენიალურ“ გამოკვლევად. (იხ. მისი „Оправергнутъ-ли дарвинизмъ?“). რაში მდგომარეობს დარვინის თეორია ამას შემდეგ ნომერში მოვიყვანთ.

ვ. რცხილაძე

ჭარხალი როგორც საკვებავი მცენარე საქონლისა და ღორებისათვის

ჩვენ მხარეს, დიდი ლიახვის ხეობაში, სადაც ქართველები სახლობენ, მიწის სიმცირისა გამო, სათიბი ადგილები სრულიად არ მოიპოვება. საანეულო მიწებში და ვენახებში მოთიბული თივა სამუშაო და მეწველ საქონლისთვის სანუკვარ საჭმლად ითვლება. მიწის სივიწროვისაგამო არც მრავალრიცხოვანი საქონელი ჰყავს ვისმე. ძალიან გაკეთებულ ოჯახიშვილს ოთხ-ულელა ხარ-კამეჩზე და ორ ძროხაზე მეტი არ მოეპოვება. ამისთანა ოჯახიშვილს ორი ან სამი საძნე ურემი თივა რომ მოუგროვდეს დიდი ღვთის წყალობა იქნება მისთვის. უმთავრეს საქონლის საკვებავს სიმინდის ჩალა და ბზე შეადგენს. ხარ-კამეჩის მოყვარული მეურნე სთესავს ორიოდ დღის უგრეხელსა და შემოდგომითვე უფქვავს უგრეხელ გადირეულს ორწილ სიმინდში როშსა. ეს სამუშაო საქონლისათვის არის და საღამოობით თითოს თითო ჯამს დამბალ როშს მოუყრის ბზეზე მოცადობას და მეწველ ფურებს როშის სუნიც არ მიედინებათ. მოცადობა მარტო ჩალაზე და ბზეზე დგანან; ამიტომ მეწველი ფურები ძალიან ილახებიან და თითქმის შრებიან, წველა აღარა აქვთ, წველის დაკარგვა კი დიდი დანაკლისია ოჯახისათვის. სხვა კვების საშუალება კი არაფერი აქვთ.

დიდ სიმშილს იტანენ აგრეთვე ღორები, რომლებიც სანეხვლებზე იკვებებიან. ზამთრის პირში დაყრილი გოჭები სიმშილით ეხოცებათ, ან არა და მზრუნველი პატრონი ორს ან სამს გოჭს შეარჩენს დედას და დანარჩენს გადაჭყრის დაყრის უმალვე, და როგორც იქნება ამ ორ გოჭიანს ღორს სიმინდის ფქვილით გამოჭკვებავს. სხვა ღორებიც რომ სულ სიმინდით გაჭკვებოს, ოთხი თავის საფასურს შესჭამს ღორი მთელ ზამთარში და თვით ღორი კი ამათ არ ეღირება; ღორის გამრავლება კი ძალიან სარგებლიანი საქმეა.

იმ ადგილებში სადაც მუხისა და წიფლის ტყეებია, ღორის მოშენებას ბე-

ჯითად მისდევენ და სანამ დიდ თოვლს ჩამოჰყრიდეს, ტყეში დაუდით რკოზე და წიფელზე, როგორც ეს ზემო ქართლშია. თუ დიდი თოვლი მოვიდა და ღორმა ველარ იმუშავა თოვლში და საკვები რკო ვერ იპოვა, მაშინ დაღონებული პატრონი იძულებულია ჩქარა გაჰყიდოს ღორები, ან არა და სიმინდი უშოვოს სადმე რაც მეღორისთვის დიდი საზარალოა. რათა სოფლის მეურნეს გაუადვილდეს საკვების მომზადება და არც მუშა საქონელს დასჭირდეს რაში, არც მეწველი ფურები გაუშრეს და არც ღორები ამოუწყდეს სიმშილით, ვურჩევ იმასვე, რაც მე მირჩიეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ამ რვა წლის წინად, და მას აქეთია ისე ვკვებავ საქონელს და ღორებს და დიდი მადლობელიცა ვარ ამ საზოგადოებაში მყოფ ეგნატე ო. იოსელიანისა, რომელმაც მირჩია საკვებავ ჭარხლის თესვა, რომელიც ჩინებული საკვებავი გამოდგა და რაშის მაგიერობა დაიჭირა.

რჩევის შემდეგ მეთესლე კვესთან ვიყიდე ორი გირვანქა ჭარხლის თესლი გირვანქა 35 კაპიკად. მე დიდი ხანია მებოსტნობას მივსდევ და ამ ბოსტნის ბაზოებზე და არხებზე თითო ოროლა თესლსა ვფლავ ნახევარ არშინის სიშორეზე ერთი მეორისაგან. თბილ და ტენიან მიწაში ოთხ-ხუთ დღეზე ჭარხალის თესლი ღივდება. თითო ჩათესილ ალაგს რამდენიმე ღერი ჭარხალი იზრდება. პირველ გათოხნის შემდეგ, ჭარხალი მალე ძირს მოიმაგრებს და ამ დროს რაკი ჭარხალი ხელ მოსაკიდი შეიქნება, ამოვმარგლი ხოლმე და მარტო ერთ ძირზე დავაყენებ. დაგლეჯილ ჭარხლებს მომცდარ ადგილში ჩაუმატებ ან და სხვა თავისუფალ ადგილზე დავფრგამ. ბაზოები როგორც ნაზურგი კარგ ფხვიერ მიწისაგან არის გაკეთებული, ამნაირ მიწაში სწრაფათ იზრდება ჭარხალი, მიწის ზევიდან ბარე ათ-თორმეტ ვერშოკის სიგრძე იზრდება ხოლმე.

კამეჩის რქასავით გადიგრიხება და წონით თვითეული ჭარხალი 20—30 გირვანქა ამოდის, იშვიათი არ არის ფუთიანიცა. ამ რიგად შემოდგომისთვის დიდ ძალი ჭარხალი გვაქვსთ ამოსაღები. მთელი ზაფხულის განმავლობაში კი ჭარხლის ნაზი ფოთლები გამოულეველი გაქვთ ხბოების, ზაქების, გოჭების და შინაური ფრინველის გამოსაკვებათ. ჭარხლის ფოთლებიდან გემრიელი მხალიც კეთდება ნიგვზითა და კარგ **მხლოვანებსაც** აცხობენ ჩვენში მუშის საჭმელად. იმ პირველად დათესილ ორი გირვანქა თესლიდან მომივიდა შვიდასი (700) ფუთი ჭარხალი. ეს ჭარხალი 700 ფუთი ჭარხალი. ეს ჭარხალი შევინახე მიწაში გათხრილ გომურში, წყობისათ დაწყობილი და თან მიწა გადაყრილი ყოველ რიგზე და შემოდგომიდანვე დავუწყე საქონელს, ღორებს და შინაურ ფრინველს კვება დაკეპილ უმი ჭარხლითა (უფრო კარგია მოხარშული), ჩემდა გასაკვირვლად ფურებმა წველა მოიმატეს იმ ზამთარში, მუშა საქონელი გასუქდა და სასუქი ღორებიც ჭარხლით გავასუქე, რომელთაც ძლიერ ტკბილი ხორცი გამოჰყვათ. თითო სულს საქონელს ვაძლევ ჯერზე ათ-თხუტმეტს გირვანქას ანუ ერთ შუათანა ჭარხალსა, დაკეპილს გადვურევ ხოლმე ბზეში. შინაური ფრინველებიც სიამოვნებით სწიწკნიან მთელად დაყრილ ჭარხალს და მარცვალი ნაკლები უნდებათ. აი მას უკან მუდამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს ვთესავ ჭარხალს და დიდ შეღავათს მაძლევს სხვილ და წვრილფეხ საქონლის კვებაში. ვურჩევ სხვებსაც თესონ ჭარხალი, რომლის თესლსაც იშოვიან ხსენებულ სამეურნეო საზოგადოებაში. შარშან გირვანქა 45 კაპიკათ მომყიდეს ჭარხლის თესლი და ხუთი გირვანქიდან მივიღე ოცი ურემი ჭარხალი.

ვისაც ბოსტნები არა აქვთ, ძმათ ვურჩევ შემოდგომით მოხნან საჭარხლეთ დანიშნული მიწა, გაზაფხულზე ოშონ, მერე დაჭკვალონ ანუ დაბარონ ისე, როგორც კომბოსტოს დასარგველად ამზადებენ შარებს, და მერე ხელით ჩათესონ თესლი როგორც ზევით მითქვამს.

ალექსანდრე მაჩაბელი

იაფი სესხის საჭიროება სოფლად

(შემდეგი*)

გრძელ ვადიან სესხის გარდა ამხანაგობას შეუძლიან ვექსილები გამოიტანოს სახელმწიფო ბანკიდან სესხად ფული 300 თუმნამდე. ამ ფულს სახელმწიფო ბანკი აძლევს მხოლოდ 9 თვით და ამიტომ ამ სესხს ჰქვიან მოკლე ვადიანი სესხი. ამ სესხით ამხანაგობას შეუძლიან ისარგებლოს მაშინ, როცა კი დასჭირდება. საჭიროების დროს რამდენიც უნდა, იმდენს გამოიტანს 9 თვით ან ნაკლები ვადით. ვადაზე ამხანაგობა უბრუნებს სახელმწიფო ბანკს ფულს სრულათ. თუ ვინიცობაა შემდეგ კიდევ დასჭირდა ამხანაგობას ფული, შეუძლიან ხელმეორეთ გამოიტანოს. ეს სესხი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ კრედიტი შეიძლება 300 თუმანზე მეტიც იყოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიდის ამხანაგობის საქმეები; თუ ამხანაგობას კარგათ მიჰყავს საქმეები, სახელმწიფო ბანკი უფრო მეტ კრედიტს მისცემს მოკლე ვადიანს. მოკლე ვადიან სესხში ამხანაგობა იხდის 5% ანუ თუმანში თვეში 5 1/6 კაპ.

*) იხილე „**მოსავალი**“ № 3.

გრძელ და მოკლე ვადიან სესხის გარდა ამხანაგობას შეუძლიან ისესხოს ფული აგრედვე გარეშე პირებისაგან და დაწესებულებებისაგან. ამხანაგობას შეუძლიან ასეთი სესხი აიღოს განსაკუთრებულ მიზნისთვის: სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობის და წვრილლით სავაჭროს გასახსნელად, საშუამავლო თანხის დასაარსებლად და სხვ. ამ სესხის პირობები უნდა შეიმუშავოს ამხანაგობამ და დასამტკიცებლად წარუდგინოს წვრილი კრედიტის საგუბერნიო კომიტეტს.

ამხანაგობა თავის საწარმოო საშუალებათა გასაფართოებლად წევრებისა და გარეშეებისგან იბარებს შესანახად ფულს. ამ ფულსაც ამხანაგობა სხვა თანხებთან ერთად ასარგებლებს...

მოკლე ვადიანი სესხი და აგრედვე კერძოთ აღებული სესხი და შესანახად აბარებული ფული, როგორც ზევითაცა ვსთქვი, უნდა იყოს მხოლოდ ათჯერ მეტი ამხანაგობის ძირითად თანხაზე.

6. საკრედიტო ამხანაგობის შედგენილობა.

ამხანაგობაში 20-ზე ნაკლები წევრი არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაიხურება. წევრთა რიცხვი რაც ბევრი იქნება, იმდენი კარგია, რადგანაც მაშინ ფულის მსესხებელი ბევრი იქნება და მაშასადამე, შემოსავალიც მეტი ექნება. ამხანაგობაში წესდებით მიიღებიან ორივე სქესის სრულ წლოვანნი, რომლებსაც რაიმე ქონება აქვთ, საკუთრივ აწარმოებენ მეურნეობას ან რამე ხელობას მისდევენ და სცხოვრობენ ამხანაგობის მოქმედების რაიონში. საკრედიტო ამხანაგობაში წევრებათ მიიღებიან როგორც მდიდრები, ისე ღარიბები; უპირატესობა იმას ეძლევა, რომელიც უფრო სვინდისიერი, ფხიზელი და შრომის მოყვარეა.

წევრი ამხანაგობაში შესვლისთანავე სდებს ხელწერილს მასზე, რომ ჰკისრულობს პასუხის მგებლობას ამხანაგობის საქმეებში. ეს პასუხის მგებლობა ორ გვარია: განსაზღვრული და განუსაზღვრელი. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ წევრი ამხანაგობისა ზარალის დროს პასუხს აგებს თავისი კრედიტის ორკეც ან სამკეც ზომას. მაგალითად თუ წევრს ამხანაგობამ კრედიტი გაუხსნა 40 მანეთისა, იგი პასუხს აგებს 80 ან 120 მანეთით. მეორე გვარი პასუხის მგებლობით კი წევრი მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს. ამხანაგობის გახსნის დროს მომეტებულ ნაწილად პასუხისმგებლობას განუსაზღვრელს აწესებენ, რადგანაც მაშინ გარეშე პირებში და ფულის შემტანებში ამხანაგობა მეტს ნდობას პოულობს. ასეთი პასუხისმგებლობა თვით წევრებისთვისაც კარგია, რადგანაც ისინი უფრო ფხიზლად ექცევიან ამხანაგობას და ერთგულად აწარმოებენ ამხანაგობის საქმეებს.

სახლის უმფროს შეუძლიან მიანდოს ამხანაგობაში შესვლა რომელიმე თავისი ოჯახის წევრს, მაგრამ ხელწერილი კი პირველმა უნდა დასდოს პასუხისმგებლობაზე.

ამხანაგობაში არ მიიღებიან წევრად უზნეო, ლოთებთოის მოყვარულნი და ზარმაცებს, ამათ გარდა წესდებით არ შეუძლიანთ ამხანაგობაში შესვლა იმათ, ვინც უკვე ითვლებიან წევრად სხვა წვრილი კრედიტის ამხანაგობაში ან საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში და აგრედვე ისინი, ვინც ერთხელ იყვნენ ამხანაგობიდან გამორიცხულნი. წევრობიდან გამორიცხულის უკან მიღება ახლად მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეიძლება.

7. ვინ აწარმოებს საკრედიტო ამხანაგობის საქმეებს.

ამხანაგობის ბატონ-პატრონი არის წევრთა საერთო კრება. ამხანაგობის საქმეების საწარმოებლად საერთო კრება ირჩევს 3—4 წევრს. ესენი შეადგენენ ამხანაგობის **გამგეობას.** გამგეობაში უეჭველად უნდა იყვნენ ამორჩეულნი პატიოსანნი პირნი, რადგანაც ხშირად გამგეობაზე არის დამოკიდებული ამხანაგობის სვე-ბედი. კარგი იქნება თუ

გამგეობაში მოჰყვებიან ნდობა დამსახურებულნი ინტელიგენტნი.

გამგეობა აწარმოებს ამხანაგობის ყოველსავე საქმეს: აძლევს და იღებს უკან სესხს, იღებს შესანახად ფულს, საჭიროების დროს სახელმწიფო ბანკიდან გამოაქვს ფული, ასრულებს ამხანაგობის მიერ დავალებულს საშუამავლო საქმეს და სხ. ყველა ამის შესასრულებლად სვინიდისის გარდა საჭიროა ცოდნაც, ამიტომ გამგეობამ უნდა თვალყური ადევნოს ჟურნალ-გაზეთობას, სადაც ხშირად იბეჭდება სხვა სოფლების საკრედიტო ამხანაგობების მოქმედება და იმათ კვალობაზე მოაწყოს ამხანაგობის საქმეები. ამას გარდა უნდა შეიძინოს და იკითხოს წვრილი კრედიტის ამხანაგობების შესახებ დაწერილი წიგნები, რომლების კითხვა მეტად გაუადვილებს საქმეების წარმოებას. ერთ-ერთი გამგეობის წევრი უნდა იყოს ანგარიშის მცოდნე, რომელმაც უნდა აწარმოვოს ამხანაგობის საანგარიშო წიგნები.

ეს ანგარიში დიდს ცოდნას არ მოითხოვს, მხოლოდ საჭიროა დაკვირვება და გულით მოკიდება. თუ ვინიცობაა ამხანაგობაში არ მოიპოვება ისეთი წევრი, რომელსაც შეეძლოს ანგარიშის წარმოება, ამხანაგობამ უნდა დაიქირაოს გარეშე ვინმე.

რომ გამგეობამ სვინიდისიერად აწარმოვოს ამხანაგობის საქმეები, მიუდგომელად გასცეს სესხი, უსაბუთოთ არ უთხრას უარი წევრს სესხის მიცემაში და სხ., ამხანაგობა ირჩევს კიდევ 4—5 კაცს მოანგარიშეებათ. ესენი შეადგენენ ამხანაგობის **მეთვალყურე საბჭოს.** როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, მეთვალყურე საბჭო ადევნებს გამგეობის მოქმედებას თვალყურს, მალმალე უწევს ანგარიშს და, თუ რაიმე სიბრუნდე შეატყო გამგეობას, მაშინათვე იწვევს საერთო კრებას, რომელსაც უდგენს თავის მოხსენებას.

გამგეობა ყოველ თვის ბოლოს ადგენს ანგარიშს, რომელსაც მეთვალყურე საბჭო ამოწმებს და უგზავნის სახელმწიფო ბანკს. ეს უკანასკნელი ფხიზლად ადევნებს თვალყურს წვრილი კრედიტის ამხანაგობებს საგანგებოდ დანიშნული წვრილი კრედიტის ინსპექტორის საშუალებით. ინსპექტორი მოვალეა თვალყურის დევნის გარდა ასწავლოს გამგეობას ამხანაგობის საქმეების უკეთ წაყვანა, ანგარიშის წარმოება და სხვა.

მეთვალყურე საბჭოს, თუ რასაკვირველია საჭირო იქნება, შეაქვს ამხანაგობაში წინადადება წესდების შესწორება-დამატების შესახებ, აღძრამს შუამდგომლობას ამხანაგობის მოქმედების გასაფართოებლათ, შუამავლობის შემოღების შესახებ, ამხანაგობასთან სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობის გახსნის შესახებ და სხვა.

ამას გარდა მეთვალყურე საბჭო არჩევს წევრების საჩივარს გამგეობის მოქმედებაზე, როდესაც უკანასკნელი დაარღვევს წესდებას; იგი აძლევს დარიგებას და შენიშვნას, რომ შემდეგში აღარ გაიმეოროს შეცდომა. ცხადია, ყველა ამის შესასრულებლათ საჭიროა მეთვალყურე საბჭოს წევრნი იყვნენ წერაკითხვაში დახელოვნებულნი, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მათ ზნეობასაც და რადგანაც ჩვენდა საბედნიეროთ ქართველ გლეხებში ბლო-

მად მოიპოვებიან კეთილ ზნეობიანი პირნი, ამიტომ გამგეობისთვის და საბჭოსთვის წევრნი ძნელი საშოვარნი არ არიან. საჭიროა მხოლოთ ერთი ორი თავდადებული ინტელიგენტი ერიოს მათში. ამ უკანასკნელების მეცადინეობით პირველნი მალე დახელოვნდებიან წერა-კითხვასა და ანგარიში და მალეც გამოიცდებიან ამხანაგობის საქმეების წარმოებაში. თუ ჩვენ ხელს ავიღებთ სოფლად საკრედიტო ამხანაგობების გახსნაზე იმ მოსაზრებით, რომ სოფლად არ მოიპოვებიან გლეხებში საკმარისათ ნასწავლნი, ჩვენ თავის დღეში არ გვეღირსება სოფლად არავითარი კულტურული დაწესებულება, რადგანაც ხალხი მუდამ მოუმზადებელი იქნება. საჭიროა დავხსნათ სოფლად წვრილი კრედიტის ამხანაგობები და სხვა გვარი კოოპერატივები, რომლებიც გლეხების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობასთან ერთად ხალხში სწავლა-განათლებასაც შეიტანენ.

ს. კახელიძე

(დასასრული იქნება)

განცხადებანი

სამეურნეო ჟურნალი

წელიწადი მესამე **„მოსავალი“** **წელიწადი მესამე**

მიიღება ხელის-მოწერა 1911 წლისათვის.

ჟურნალი გამოდის იმავე პროგრამით. ღირს წლიურად **3** მანეთი.

იყიდება აგრეთვე 1909 წლის **„მოსავალის“** ნომრები უდაკაზმული 2 მან. და 1910 წლის უდო 3 მან.

მოსავლის რედაქციაში იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ვ. ი. რცხილაძე კრებული არითმეტიკული ამოცანებისა (მეორე ნაწილი) 50 კ.

იმისივე (თარგმანი) ქიმია პრ. როსკოსი (მეორე გამოცემა)........ 30 კ.

იმისივე საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდგან და შვეიცარიის ძირითადი კანონები ფასი........................ 25 კ.

Городская публичная библиотека имени А. С. Пушкина

რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**